ეროვნული
ბიბლიოთეკა

თეზისები

კომკავშირის ორგანიზაციის მუშაობაზე მე-2-ე ქართულ დივიზიაში.

თანამედროვე პირობებში კ. კავშირის ორგანიზაციის ამოცანას წითელ ჯარში წარმოადგენს დაეხმაროს პარტიას თავისი გავლენის მოსახდენათ ნაწილის მუშაობის ყოველ დარგში, როგორც საერთო განწყობილების შესწავლაში, პოლიტ-მეცადინეობაში, სკოლის გარეშე მუშაობაში და სხვა, რაც თავდებია ნაწილის ბრძოლის უნარიანობის განმტკიცებისა. ყოველივე ამ ამოცანების შესრულება მოითხოვს კ. კ. ორგანიზაციის ქვედა ერთეული—ჯგუფის მუშაობის გამოცოცხლებას, რისთვისაც საჭიროა მისი დღის წესრიგის გაშინაარსიანება, შინა საკავშირო დემოკრატიის გაფართოვება, მეტი ინიციატივა, საქმიანი თვითკრიტიკა, ზრუნვა ყოველმხრივ სამაგალითო კომკავშირელზე და შემდეგ კი ასეთივე წითელ არმიელზე.

1. ამ ამოცანის შესრულება მოითხოვს მუშაობის ძირფესვიანათ შეცვლას. მეტი ყურადღების მიპყრობას რიგის კომკავშირელ და წითელ არმიელის მოთხოვნილებებზე. ამის საშუალება დღეს უფრო მეტი ეძლევა ჯგუფს ვიდრე ოდესმე. ჯგუფის პრეზიდიუმი შეუწყობს ხელს, რომლის ზრუნვას წარმოადგენს ყოველივე წამოყენებული საკითხი შეკითხვით იქნება იგი თუ წერილობით, ან და სურვილის გამოთქმით უნდა ხდებოდეს მათი აღრიცხვა-შეჯამება.

2. ყოველივე გეგმა, ცხრილი და ჯგუფის დღის წესრიგები აგებული უნდა იყოს წითელ არმიელთა მოთხოვნილებებზე. არც ერთი მომენტი ნაწილის ცხოერებიდან არ უნდა გამორჩეს, რომ არ იქნეს გათვალისწინებული ჯგუფის სამსჯელო საგნათ.

3. დღის წესრიგში წამოყენებული პრაქტიკული საკითხები უნდა წარმოადგენდეს ფართო მასის მსჯელობის საგანს, ამისათვის კი საჭიროა:

ა) მათი წამოყენება დროს შერჩევით,

ბ) წინასწარი მისი საკმაოთ დამუშავება,

ვ) მის გარშემო მიღებულ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარება.

4. არ არის საკმარისი პრაქტიკულ ღონისძიებათა გამომუშავება ჯგუფის მიერ, აქ საჭიროა მათი ცხოვრებაში გატარებისთვის გაწევა კონტროლის, თუ რომელი საკითხი ვისზეა დავალებული, როგორ ტარდება, რისთვისაც საჭიროა:

ა) ორგანიზატორის მიერ დახმარება დავალებულ ამხანაგებზე.

ბ) ხშირი მოსმენა მათი მოხსენების პრეზიდიუმის სხდომაზე ჯგუფის კრებაზე გადატანით და

ვ) ახალ მითითებათა მიცემა მომავალ მუშაობისათვის.

5. დასახულ ამოცანების შესრულებას ხელს უშლის შემდეგი პირობები:

ჯგუფის შემადგენლობის ერთი ნაწილის პასივობა და მეორე ნაწილის კი ყოველ საკითხზე მონოპოლიის აღება (ხშირათ ამის ხელის შემწყობია სამსახურობრივი მდგომარეობის გამოყენება).

ბ) საერთო პოლიტიკურ განვითარების ძალზე სისუსტე, რაც არ აძლევს საშუალებას წითელ არმიელთა მასას საჭირო აქტივობა გამოიჩინოს.

ვ) ცუდი ყოფა-ქცევა ზოგიერთ კომკავშირლების, რაც ცუდათ მოქმედობს წ. არმიელთა საზოგადოებრივ აზრზე, რაზედაც უნდა იზრუნოს ჯგუფმა.

6. ჯგუფი, გარდა თავისი შინაური საკითხებისა უნდა სვამდეს აგრეთვე საერთო პოლიტიკურ საკითხებს, კომკავშირელი უნდა იყოს პარტიის პოლიტიკის ვითარუბაში, ამისათვის საჭიროა პარტიული უჯრედების მეტი მზრუნველობა და აღმზრდელობითი მუშაობის წარმოება.

7. კომკავშირის ქვედა ორგანიზაციებმა უნდა დაისახონ ამოცანათ ყოველივე მისი წევრის ცოდნის ამაღლება. არცერთი კომკავშირის წევრი არ უნდა გვეყოლოს წერა-კითხვის უცოდინარი და მცირე მცოდნე. მე-8 ყრილობის დავალება ამ დარგში გატარებულ უნდა იქნეს ცხოვრებაში. ყოველივე წ. კითხვის კარგათ მცოდნე უნდა ვაიძულოთ ამ საქმის მოგვარებაში.

8. სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს უკულტურობას (გინება, სიმთვრალე და სხვა). ყოველივე ცალკე საკითხებზე თვითეულ წევრს უნდა ეთხოვებოდეს პასუხი და ერთ ერთ ბრალდებათ მის მუშაობაში უნდა იქნეს ეს უარყოფითი მხარეების დასახელება.

კ. კ. წევრ მეთაურს სასტიკი პასუხი უნდა მოეთხოვოს წ. არმიელისადმი არა ზრდილობიან მოპყრობისათვის.

9. ჯგუფის დღის წესრიგებში გახშირდა ნაწილის ყოფა ცხოვრების საკითხების წამოყენება.

10. ნაწილის ყოფა-ცხოვრების საკითხების წამოყენებას აქვს შემდეგი ნაკლი:

I) საკითხი ისმება ზოგადათ და ლაპარაკი არის საერთო ამოცანებზე.

2) მომხსენებლები გამოდიან საკითხის მოუმზადებლათ,

და 3) არ არის მასზე მსჯელობა და პრაქტიკული ღონისძიებანი.

11. ჯგუფის კრებაზე უნდა ისმებოდეს განაყოფის მდგომარეობის ცალკე საკითხი, უნდა ვერიდოთ მისი ზოგადათ დასმას, საჭიროა მომხსენებლის მიერ წინასწარ შესწავლილი იქნეს ნამდვილი მდგომარეობა.

12. წამოყენებულ საკითხებზე საჭიროა მეტი მსჯელობის გამართვა. ყოველ რიგის წევრს უნდა ექნეს საშუალება ილაპარაკოს ყოველივე იმაზე, რაც აწუხებს მას და გამომჟღავნებული იქნეს ყოველივე ის ნაკლი, რომელიც ახასიათებს განაყოფის ცხოვრების ამა თუ იმ დარგს პრაქტიკულ ღონისძიებების დასახვით და არავითარ შემთხვევაში საერთო ფრაზები „მაგალითის მაჩვენებლობაზე“.

13. განაყოფის ბრძოლის უნარიანობის განმტკიცება და სხვა საკითხები აყენებს კომკავშირელთა შორის დისციპლინის განმტკიცების აუცილებლობას, რაც წარსულთან შედარებით ნაკლებია. ჯგუფმა უნდა ეცადოს მისი საბოლოოთ აღმოსაფხვრელათ.

14. კომკავშირელის ორნაირად დასჯა წვრილმან დანაშაულისათვის უნდა ჩაითვალოს მიუღებლათ, თუ კი ის გამოუსწორებელი არ არის.

15. უფრო მეტად დისციპლინის ხშირ დარღვევას აქვს ადგილი წინასწარ შეკრების პირველ პერიოდში, რისთვისაც საჭიროა შეკრებათა შორისო პერიოდში წარმოებულ იქნას წინასწარი მუშაობა შესავსებ რაიონებში მათი წითელ ჯარში მუშაობის პირობებზე გაცნობის მიზნით.

16. განაყოფის ბრძოლის უნარიანობის განმტკიცება მოითხოვს წითელ არმიელთა მიერ სამხედრო ცოდნის გაღრმავებას, ამისათვის საჭიროა ყოველივე კ. კ. წ. და უპ. წითელ არმიელთათვის კ. კ. ჯგუფი თავისი ინიციატივით აწყობდეს ჯგუფებს, სადაც ამ ნაკლს შეავსებენ კ. კ. მეთაურების საშუალებით.

17. ჯგუფმა უნდა აიღოს ინიციატივა თავის თავზე თავის განაყოფში მოაწყოს სხვა და სხვა შეჯიბრი პირველობაზე, როგორიც არის საკეტის დაშლა და აწყობა. სწორი სროლა, ყაზარმის ბინის და მისი მიდამოების მოწყობა. შემდეგ საჭიროა პრაქტიკაში შემოღებული იქნეს შეჯიბრება ლეგიონის მასშტაბით.

18. კონფერენცია საჭიროთ სთვლის შეყვანილი იქნეს კომკავშირის ჯგუფის წარმომადგენელი სამნეო დახმარების კომისიაში რათა ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი აზრის შექმნას აღნიშნულ კომისიების მუშაობაზე.

19. ნაწილებში პარტიული მუშაობის გართულება მოითხოვს კომკავშირისაგან უფრო მეტი მუშაობის გაძლიერებას ვიდრე ოდესმე, რისთვისაც საჭიროა ჯგუფის მიერ პრაქტიკული ღონისძიებათა დასახვა.

20. უპარტიოთა შორის მუშაობაზე კონფერენცია აღნიშნავს შემდეგ ნაკლებს:

1) ღია კრებისათვის საკითხების სუსტშერჩევას, რის გამოც იკლო უპარტიოთა დასწრებამ.

2) თავის დროზე ვერ გამოხმაურება ნაწილში საჭირბოროტო საკითხებზე და ხშირ შემთხვევებში უკმაყოფილებაზე აყოლა;

3) ჯგუფები არ აწარმოებენ წ. არმიელთა მიერ გამოთქმულ უკმაყოფილებათა შესწავლას და მის აღნუსხვას;

4) არ აქვს ადგილი აღნიშნულ საკითხებს ჯგუფის კრების დღის წესრიგში.

21. უპარტიოთა შორის მუშაობამ უნდა დაიკავოს საპატიო ადგილი ჯგუფის საკავშირო მუშაობაში საჭიროა, რომ დღის წესრიგში:

1) წამოყენებული იქნას საკითხები, რომლებიც აღელვებს და აინტერესებს წითელ არმიელთა მასას,

2) უნდა მიეცეს საშუალება ფართო მასას გამოთქვას თავისი შეხედულება,

და 3) დადგენილებანი უნდა იყოს კონკრეტიული და გამოხატავდენ კამათში გამოთქმულ სურვილებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

22. ჯგუფმა აღრიცხვა უნდა აწარმოოს სისტემატიურათ დამსწრეთა და კამათში გამოსულ უპარტიო ამხანაგების.

23. ერთ-ერთი საშუალება უპარტიოთა დაახლოვების და მათზე გავლენის მოხდენის არის მუშაობა ნებაყოფლობითი ორგანიზაციებში, ამ დარგში კომკავშირის ორგანიზაციები მოისუსტებენ, იშვიათია შემთხვევა კომკავშირელთა ამ დარგში მომუშავე ამხანაგების ანგარიშიანობის.

24. კომკავშირის ჯგუფმა საჭიროა აიღოს თავის თავზე მათი მუშაობის გამოცოცხლება სხვა და სხვა მასიურ მუშაობის ჩატარება და ახალი წევრების მიზიდვა.

25. პარტიის და ხელისუფლების მიერ ჩატარებულ მთელ რიგმა ღონისძიებებმა ჩაიარა კ. კ. აქტიურ მონაწილეობის გარეშე, როგორიც არის სესხის გავრცელება და სხვა. ასეთ კამპანიების ჩატარების დროს წითელი ჯარის საშუალებით უნდა მოხდეს გავლენა სოფელზე.

26. ასეთ კამპანიების დროს საჭიროა კ. კ. ჯგუფის ინიციატივით ეწყობოდეს სხვა და სხვა კუთხეებიდან მოსულ წითელ არმიელების თათბირები და ამრიგად მოახდინონ საჭირო გავლენა სოფლის ორგანიზაციებზე და ოჯახებზე.

27. საკავშირო განათლების დარგში კონფერენცია აღნიშნავს შემდეგ ნაკლს:

1) კომკავშირის ორგანიზაციები ამ საკითხზე არიან მოწყვეტილი.

2) ჯგუფის კრებებზე არ ისმება საკითხი ნაკლის გამოსამჟღავნებლათ.

3) არ არის საკმაო საკავშირო ლიტერატურა ქართულ ენაზე, რომელიც არის, ისიც რჩება გამოუყენებელი.

4) აგრეთვე ხელს უშლის წერტებზე ამხანაგების გადასროლა.

5) საჭირო ცოდნის მქონე ხელმძღვანელების არ ყოლა.

28. საკავშირო განათლების მდგომარეობის გაჯანსაღებისათვის კონფერენცია შემოდის შემდეგი წინადადებებით:

1) თავის დროზე გაშლილ იქნეს საკავშირო განათლების ქსელი,

2) დროულად უნდა იქნეს მომზადებული სკოლების ხელმძღვანელთა კადრი,

3) წინასწარ მომარაგებულ იქნას სკოლები საჭირო ლიტერატურით,

4) კომკავშირის ბიუროებმა და ჯგუფებმა უფრო ხშირად უნდა მოისმინონ სკოლების ხელმძღვანელთა მოხსენებები.

29. აქტივის მომზადებისათვის კონფერენცია აღნიშნავს: ჯგუფორგანიზატორთა გადასამზადებელი სემინარები არსებულ პირობებში ვერ ამართლებენ თავის დანიშნულებას.

30. კონფერენცია საჭიროთ სთვლის შემდეგ ღონისძიებებს:

1) სემინარები უნდა იწვეოდეს მოკლე-ვადიანი (ერთი კვირა) პროგრამა უნდა შედგენილი იქნეს ნაწილის წინაშე წამოყენებული ახალ ამოცანებთან დაკავშირებით;

2) პროპკოლექტივებისათვის საჭიროა მეტი ყურადღება, ვინაიდან იგი ამართლებს თავის დანიშნულებას, კარგად მომზადებულ ამხანაგების შერჩევით.

3) თვითგანვითარების საქმე ვერ არის ჯერ კიდევ მოგვარებული, ლტოლვა კი დიდია, რისთვისაც კონფერენცია საჭიროთ სთვლის

მთლიანად მიღებულ იქნეს სახელმძღვანელოთ დივპარტკონფერენციის მიერ მიღებული დადგენილებანი თვითგანვითარებითი მუშაობის გარშემო.

31. ჯგუფებს დიდი მიღწევები აქვთ მუშაობის ახლად გარდაქმნის საქმეში, საჭიროა მიღწევათა და ახალ წამოწყებების ურთიერთ გაზიარება გაზეთის საშუალებით არა მარტო დივიზიის ფარგლებში, არამედ მოძმე დივიზიების ნაწილებთანაც, რაც შეუწყობს ხელს მუშაობის წინსვლას.

32. კონფერენცია აღნიშნავს, რომ უკანასკნელად იზრდება კომკავშირიდან გამორიცხულთა პროცენტი. მიზეზია პასივობა და არ დასწრება, ლოთობა და სხვა ასეთები, ყოველივე ეს უნდა მიეწეროს ჯგუფის მიერ საკმაოთ ვერ ჩაბმას მუშაობაში ყველა წევრების და ყურადღების არ მიქცევას ცალკე კომკავშირელის ცხოვრებაზე.

33. ამ ავადმყოფურ მოვლენათა აღმოსაფხვრელათ უნდა მიჩნეული იქნას მუშგობის განაწილება ნებაყოფლობით მთელ ჯგუფის წევრებზე, განტვირთვა ძალზე დატვირთული ამხანაგების და ყოველივე კომკავშირელის კერძო ცხოვრების შესწავლა, რომ არ მოხდეს მათზე ცუდი გავლენა.

34. კომკავშირის ზრდა სრულიად ნორმალურია, ამასთანავე კონფერენცია აღნიშნავს შემდეგ ნაკლს:

1) საკმაო რიცხვი მუშების და მოჯამაგირეების არის კომკავშირის გარეთ;

2) არც ჯგუფი და არც ლეგბიურო არ აწარმოებს მის მოწესრიგებას;

და 3) იყო შემთხვევები საქმის გაჭიანურების.

35. დღეს კიდევ სდგას ჩვენს წინაშე ამოცანა 100% მუშებას კავშირის რიგებში ჩაბმისა, რისთვისაც ჩვენი ორგანიზაციის ყურადღება უნდა მიმართული იყოს აქეთკენ, უნდა სწარმოებდეს მიღება მოჯამაგირეებისა და აგრეთვე უღარიბები გლეხობის და შემდეგ კი პოლტავკინიან შესწავლილი აქტიური საშეალო გლეხობის.

36. ბრძოლა მოწესრიგების საკითხზე უნდა მუშაობდეს არა მარტო ხელმძღვანელი ორგანიზაცია არამედ ყველაფერ.

37. პარტიული ბირთვის ზრდა ნორმალიურია, მხოლოდ სუსტია მისი ხელმძღვანელობა. მომავალში საჭიროა ზრდის გაძლიერება, მაგრამ მათი და აქტიური მუშაობაში ჩაბმა. მუშავები სდგას საკითხი ისაკ გადაკეცილებული ცალკეცად კომკავშირელების, კონდფერენციაზე საჭიროა სთელის მიღებული იქნას ზომები მათი სხვა და სხვა საზოგადოებრივ საბუშაოზე მოწყობისათვის, მხოლოდ მის შემდეგ კომკავშირის ღირებულებად მოხსნისათვის.

38. ლუგბიეროს მუშაობაში კონფერენციის ანტინშავს შემდეგ სუსტ მხარეებს:

1) ბიუროს წევრთა ნაკლები პასუხისმგებლობა მათზე დაკალებულ საქმეზე.

2) სუსტი ხელმძღვანელობა მუშაობის ცალკე დარგებზე, უარყოფილი უნდა იქნეს ლუგბიეროს სხდომაზე ჯგუფის საანგარიშო მოხსენების დასმა მთლიანად ჯგუფის მუშაობაზე საჭიროა ისმეფობოდ ჯგუფის განაყოფში მუშაობის ცალკე დარგებზე (ბრიგის საკითხი, სკოლის გარეშე მუშაობა, ნაწილის ლიმშენებლობა და სხვა ასეთები).

ამასთანავე საჭიროა ბიუროი იწვევდეს სხვა და სხვა დარგებში მომუშავე ამხანაგების თათბირებს.

39. სკოლის გარეშე ორგანიზაციების მუშაობაზე კომკავშირის ორგანიზაცია ვერ გრძნობს სათანადო პასუხისმგებლობას. ლოკის გამგეობებში, ლენკუთხის საბჭოებში თუმცა კომკავშირის წევრები გაყვანილი არიან, მაგრამ ისინი მუშაობას გაცხოველებისათვის ვერ იმენენ სათანადო აქტივობას, რაც მიეწერება კომკავშირის ორგანიზაციის ფორმალურ კახინერს ხელმძღვანელობას მათზე. შემდგომ მუშაობაში საჭიროა კომკავშირის ორგანიზაციებმა გაძლიერონ საქმიანი ხელმძღვანელობა (სათანადო დირექტივების, რჩევა—დარიგებების მიცემით და სხვ) იმ კომკავშირის წევრებზე, რომლებიც მუშაობენ სკოლის გარეშე ორგანიზაციების ხელმძღვანელ ორგანოებში.

40. ლენკუთხეების მუშაობის სხვადასხვა სახეებში, როგორიც არის ჯგუფების ორგანიზება, მასიური მუშაობა და სხვა კომკავშირის წევრები ნაკლებად დებულობენ მონაწილეობას, იქ, სადაც ისინი ჩართულნი არიან, არ არიან დანიტერესებული მუშაობის ხარისხით. კომკავშირელები, რომლებსაც დავალებული აქვს ეკრუნდის ან ჯგუფის მიერ, რიგი მუშაობის გატარება, ლენკუთხეში ანახორუთთა ეფექტიან მუშაობას, ისინი არ ემხადებიან წინასწარ. შემდგომში კომკავშირელები მეტ აქტივობას უნდა იჩენდენ ლენკუთხეების ყოველდღიურ მუშაობაში. კომკავშირის წევრები მთავარი ფიმიშნეებენი და ორგანიზატორები უნდა გახდნენ ლენკუთხის მუშაობის—ეკარტნო წოდელ ინიციელთა ფართო მასის ესსში მიზიდვის და მათი კლასიერად აღრრიდის მიზნით.

41. ლუგალუბის საწრო მუშაობაში კომკავშირის აქტივი უნდა თამაშობდეს მთავარ როლს. მათი საშუალებით განმტკიცებული უნდა იქნეს საწრო (საზოგადოებრივი) დისციპლინა, კოლექტიური თვითშემოქმედება საპრობლემო საკითხების სწორად დამუშავება და სხვ.

42. შემნნეულია, რომ ზოგიერთი კომკავშირელები არ კითხულობენ ეტერნალ-გაზეთებს და ლიტერატურას, საჭიროა მიღწეული იქნეს, რათა კომკავშირელი აქტიური მკითხველი იყოს ლეგ. ბიბლიოთეკის, არც ერთი კომკავშირელი არ უნდა იყოს ბიბლიოთეკის გარეშე. კომკავშირელი უნდა ბაეფს წიგნის აქტიური პროპაგანდისტი.

43. სკოლის გარეშე ორგანიზაციები ერთად ერთი სიტყვასა სამეცნიერთა-ვანი წიგნელ არმიელთა ფართე მასების აღსაზრდელად. მაგრამ ამ მუშაობაში ჯერ კიდევ სესარბოს ფორმალიზმი, ეგზიოზერობა და ბიეროკრატიზმი. კომკავშირი თავის ყოველდღიურ მუშაობაში განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა აქცევდეს სკოლის გარეშე მუშაობის ხარისხობრივ გაუმჯობესებისის საქმეს. კომკავშირმა თავის საფლესო ლოზუნგად უნდა გაიხადოს ბოლოდ ეკონტერულ სკოლის გარეშე მუშაობისათვის.

პოლიტგაგნოფოფლება.

ბოლგრაფუტრკტის მეტ სტამბა, ტ.ცხოვიერ ქ. № 3. მთავარლიტ 1330. ტირაჟი 150.